

იუმორის ტუ- ლი გაზეთი

წელიწადი პირველი.

შუამავალი

№ 4

კვირა, 5 აგვისტო, 1907 წ.

№ 4

კარიკატურებიანი, იუმორისტიული, გაზეთი „**შუამავალი**“ გამოდის ყოველ კვირა დღეს. ფასი წლიურათ—5 მან., ნახევარი წლით—3 მან., ერთი თვით—50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 10 კ. ადრესი: თფილისი, ამხანაგობა „**შრომის**“ სტამბა. Тиф-ლისь, Типографія Т-ва „Трудъ“ для „Шуамавали“.

ფასი განცხადებისა პირველ გვერდზე პეტიტით 30 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 20 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება სამშაბათს, პარასკევს და შაბათს დილის 10 საათიდან 12 საათ. და საღამოს 5 საათიდან 7-მდე. ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ინახავს. წერილები გარკვევით და ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი.

სენსაცია! „კახეთის“ ფირმამ ღვინოს ფასები დაუკლო!—ქუთაისში ჰატრულებმა ექსპოზრიატორთა ნაცვლათ კატები დასოცეს!—რუს ამრხეველთა სიის შედგენლებს „ჭეშმარიტ რუსთა“ რევიზია დაუნიშნეს!—რკინის გზებზე მგზავრთაშესამცირებლათ ბილეთის ფასებს უმატებენ!—თელავში ჰროცენია დაიჭირეს!



გადაჰკრეს და სადღეგრძელო სათითაოთ გააჩინეს!!

დათვის წვეულება.

დათვმა ლხინი გაღიხადა,
მოიწვია პირუტყვთ ჯოგი:
ძროხა, ვირი, ცხენი, ღორი,
თხებიც გაურია ზოგი.

თანაც სტუმრებს, საპატიოს,
ხარკი დასდო ერთი განი:

ღორებს გოჭი, ვირს ჩოჩორი,
ძროხას ხბო და თხებს თიკანი.

შეაწვია, შეამზადა
ეს ხელ-უხვი მონაგარი
და ქალაქის მოედანზე
სუფრა დადგა შეუდარი.

თითონ დაჯდა სუფრის თავსა
მგლები უკან დაიყენა,

რომ სიურჩის გამგედთათვის
ამოცდროთ პირში ენა.

სუფრას ირგვლივ შემოუსხდა
წარჩინებულ სტუმართ გროვა
და უკვირდათ: ესოდენი
საქმელი სად მოაგროვა!

გაიმართა სადღეგრძელო
დრო და ჟამის შესაფერი:

პირველათ თხა გამოვიდა,
შეიბერტყა თეთრი წვერი.

მოახსენა: „ბარაქალა!
ამფერ ჩვენო დათუნაო!!
ჩემმა ლოცვამ, შენმა რისხვამ
ხალხი წელში გალუნაო.

ნუ მოგაკლოს ზეციერმა
სახელი და დიდებო,
შენი სახე ლმობიერი
ხატით დაგვეკიდებო.

ჩვენი ბედნიერი ტომი
მუდამ შენზე ილოცავსო...
და, ბოძებულ აღმატებას
სიმდაბლით მოგილოცავსო.

გზას გიკურთხებს ჩემი პირით
სრულად თხათა ჯგუფიო,
თან ვიმედობთ მოგვეცემა
საგვერდე და სკუფიო“.

აქ თხამ ერთი ჩაახველა,
თან ჩაპბუქნა რევენანსი,
მოიყუდა და გადაჰკრა
ჩხავრის ღვინო მთელი თასი.

ბამხთარი და ფერმიხდილი
ტრიბუნაზე შედგა ვირი;
ყურები ძირს ჩამოუშო
და დაალო ფართეთ პირი.

ყველას ძლიერ ეუცხოვა:
„რათ ჩამოხსნეს თოკიო!“
და სულ სმენათ გადაიქცენ:
რას იტყვის ეს კოკიო.

ვირმაც აღარ დააყონა
და ღირსების შესაფერი,
ყროყინ-ყროყინ მოკრძალებით
სიტყვა ჰკადრა ორი ღერი:

„ქეშმარიტო დათვის შვილო!
ამფერ ჩემო დათუნაო!
მადლი იმ ღმერთს, რამაც ჩვენზე
ბატონობა გარგუნაო!

ეშვის წვერში გენაცვალე,
დაგიკოცნე ფრჩხილებიო!!
შენ შემუსრე „მაწანწალა“
აგი „ძადლი“ შეიღებო“.

შენითა გვაქვს: ბალახ-ბულახ,
სიმინდი და ქერიოა,
გუშინ ტყეში ვიმალოდი
დღეს-კი გამოვძვერიოა.

შენი სათნო მრისხანება
მოედვა მთა-მდელოსაო
იყავ მუდამ ბედნიერი
ვსვამთ შენს სადღეგრძელოსაო“.

მხარტვეს ყანწი ჯიხვისა
აღსავსე კიდით-კიდესა
ძვირფასი ანწლის გვირგვინიც
კისერზე ჩამოჰკიდესა.

გადაჰკრა ქარვა ჩხავერი
ყანწი თავდაღმა დაამხო

და ისე დაიყოყინა
ლამის მხეცებიც დააფრთხო:

„მასპინძელს მტერი, ორგული,
ამ რიგათ დაეცალოსო,
ვირებიც საშვილიშვილოთ
ეყმოს და ენაცვალოსო“

ღათვს აეშალა ნერვები
და ცრემლი დაედინება!!!
(თურმე ამ ჯიშის ცხოველებს
ამგვართ მოელხინება!)

წამოდგა, წელში გასწორდა
ხმა ჩაიწმინდა ხველითა;
ასწია დიდი ბაკალი
მან ბანჯგვლიანი ხელითა:

დაიწყო: „ჩემო პირუტყვნო!
ჩემო თხავ!! ჩემო ვიროო!!!
მე მზათ ვარ ჩემი სიცოცხლე
თქვენ მსხვერპლათ შემოგწიროო.

მისთვის მოვედი ამ ქვეყნათ
და მოვიძულე თავიო,
რომ მეგულვოდით თვევენ ორნი
ჩემი მარჯვენა მკლავიო.

თქვენი რჩევა და თათბირი
ჩემთვისაც უროკიოა,
ნე პოზაბუდუ დო გრობა:
ნი კოზლა, ნი კოკიო!“

ეამა ესე პირუტყვებს
და აუტოკდათ გულები
ბლავიან „მრავალ-ჟამიერს“
აზრიდან დაკარგულები.

ზოგი დათვს კოცნის, ზოგი ვირს,
ზოგი ღორს, ზოგიც თხასაო;
თანაც, შორეულ წინაპრებს
უთვლიან მოკითხვასაო.

დიდი ხნის შემდეგ დაწყნარდენ
და ადგა ლაფშა მერანი.
საშინლათ სქექს და ხვიხვინებს
ეს სამგლისკბილე ვერანი.

ყურნი ცქვიტ, ცხვირნი დაბერა,
წამოირეკა ფაფარი
და მოახსენა დათუნას
საშვილიშვილო ზღაპარი:

„დაუვიწყარო სტუმარო!
ვილოცავთ შენსა სახელსო,
მიღიხარ... ჩვენ კი აქ გვტოვებ
შენი დიდების მნახველსო?“

ამდენ ხანს ტყეში ვცხოვრობდით
დღეს გამოვედით ველათო:
გთხოვთ: თქვენსა ველურ სამართალს
ნუ განდით სანატრელათო.

ღარჩით და ქაღალდს მოგართმევთ,
ხელს მოვაწერავთ ყველაო,
თორემ უთქვენოთ ჩვენ საქმეს
არსაით უჩანს შეველაო.

აქ სიტყვას მოვეკვეც!! არცა ღირს
უფრორე გავაგრძელოთო

იცოცხლოს დათვმა ბატონმა
ლაფშების სადღეგრძელოთო“.

კვალად დასძახეს „ჟამიერ“
თავთავის კოლო ხმაზედა:
ძირს დედა-მიწა შეინძრა,
მზე შეგვიტოკდა ცაზედა.

წამოდგა ღორი ნასუქი
დინგ წამურული ფუნითა
ყველასგან განიჩივოდა
„სპეციფიური“ სუნითა.

დაიწყო ღრუტუნ-ღრუტუნ
ვერვინ გაუგო ვერარა
და ბოლოს კრებამ ურჩია
ლეკური ჩამოეარა.

„ვერ შეგდეს მწყერი ხეზეო?“
ასეთი არის თქმულება.
აბა გასინჯეთ: სად ცეკვა,
სად ღორის აგებულება!!

ღრუტუნამ თავი გასწირა
და დაუარა ნახათა...
ელფერი მისცა მოლხენას
დაატკბო დაალაზათა.

ისმოდა ტაშის გუგუნ
იქიმებოდენ ძალხვენა
და სათამაშო „გოგონას“
მღეროდენ სოფლოურ ხმაზედა:

„ე ღორი კარგა თამაშობს
თითის ჩლიქებზე დგებოა,
მაგან რომ ფეხი იტკინოს
ის ჩვენ ნუ დაგებრალდებოა“.

და მართლა რაღაც ხიფათად
ეს მოლექურე ღორია,
ქვას წამოეკრა და იღრძო
უკანა ფეხი ორია.

ეწყინა დათვსა ეს საქმე
და ღორი მოიხსენია.
უთხრეს რომ ღორსა ფეხებში
სჭირს რევმატიზმის სენია.

წაიღეს საყასბოსაკენ
ფეხ მოტეხილი სტუმარი
ხურმა და ქატო მიართვეს
თითო ორ-ორი ტუჩარი.

მეჯლისი კვალად გაგრძელდა
ღორს არვინ მოიგონებდა...
ერთისა ნათქვამ სიტყვასა
მეორე მოიწონებდა.

სადამოს ჟამზე დათუნამ
„ნა პროშჩანიე“ დალია.
მჭევრმეტყველოური რეჩი თქვა
რაც-კი შესწევდა ძალია:

„ძვირფასო ჩემო პირუტყვნო
რქიანებო და ურქოო!!!
მივდივარ, ჩემსა უფროსებს
საქმენი თქვენნი უქოო.

ახსენეთ ჩემი სახელი
თუ რამე გაგიჭირდეთო,

თუ ჟამი გაჩნდეს თქვენ შორის
შვილები აგიტირდეთო.

ვეცდები: თქვენმა ამაგმა
არ ჩავიაროთ მუქთაღო,
არ დაგიმქლევდეთ გვერდები
ჩემ დროს რო გაგისუქდათო“

ამა სიტყვებით დაჰკოცნა
ყველა სტუმარი შუბლშია
მარტოკა ვირი დიდ-ყურა
მაგრათ ჩაიკრა გულშია.

წავიდა დათვი! წავიდა!!
ქვეყანა დაინადირა!!!
მისმა დაკარგვამ პირუტყვნი
ცხარე ცრემლებით ატირა.

ეშმაკი.

ბედნიერია თფილისი!

აგრილდა—ალარა ცხელა,
გავაჩანაღეთ ივლისი;
ხოლერის შიში არ არის,
ბედნიერია თფილისი!

ვთქვი და ათასჯერ ვიტყვი, რომ თფი-
ლისისთანა ბედნიერი ქალაქი მთელ დუ-
ნიაზე არ იქნება. აბა წარმოიდგინეთ,
ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ საშიშარ ცხელ
ზაფხულს ასე ადვილად გადაიტანდნ
თფილისელები. მართალია მსხვილ-ფე-
ხობამ „დაჩეხს“ მიაშურა, მარა თფილის-
ში მაინც მრავლათ დარჩა „წვრილფეხო-
ბა“, (უმრავლესობა ხომ წვრილფეხობაა?)
და ზოგიერთი „მსხვილებიც. განა წარმო-
იდგენდა ვინმე, რომ ასეთი სიცხე მშვი-
დობიანათ ჩაიარდა და რამე უბედურება
არ დატრიალდებოდა? სხვების რა მოგა-
ხსენო და პირადათ მე კი დარწმუნებული
ვიყავი რამე მოხდებოდა და ყოველ დი-
ლით გულის ძიგ-ძიგით ვათვალიერებდი
ადგილობრივ გაზეთებს აჰა, ეხლა წავიკი-
თხავ რამე საშინელ ამბავს მეთქი. ხოლერა
აბა რა სათქმელია, მე დარწმუნებული ვი-
ყავი ხოლერას შავი ჭირი მოუსწრობდა,
მენინგიტი და სხვა ამ გვარობა ხომ სახ-
სენებელიც არ არის. მეგონა, მარა დახეტ
თფილისელების ბედს (ბედნიერია თფილისი-
სი): მოგვხედა ღმერთმა და ივლისი (ეს
ყველაზე საშინელი თვე) უკვე ვავაჩანა-
ღეთ, არც ხოლერა, არც შავი ჭირი და
არც სხვა არაფერი. ხოლერის ჩამოუსვ-
ლელობა მხოლოდ ერთი მიზეზით ამინ-
სნია, ალბათ ალავი ვერ იშოვნა მატარე-
ბელში, ბაქოში მობრძანებულა და რაკი
აქეთ ვეღარ მოახერხა წამოსვლა ალბათ
უკანვე მიბრძანდება. აბა ასეთ ბედნიერე-
ბას რამე შეედრება?! არა. მაგრამ საუბე-
დუროთ მთლათ ბედნიერათ არ ჩაუვლია

წლევანდელ სიცხიან ზაფხულს (სრული
ბედნიერება ხომ შეუძლებელია?) რაკი ინ-
დოეთის ხოლერამ ვეღარ მოახწია ადგი-
ლობრივ გაჩნდა ახალი ხოლერა, მეტის
სიცხისაგან ზოგიერთ ადგილობრივ ლი-
ტერატორებს „თავის ხოლერა გაუჩნდათ
(მოდის და აუ კაი ბიჭი ხარ ასეთ სი-
ხეში ნუ გაგიხურდება თავი?) ტვინი გაე-
თქვიფათ და ისეთ სისულელეებს სწერენ
გაზეთებში, რომ ლამის ყველა გააგიჟონ.
„ინდაური, ბატი, იხვი, გოჭი, ბალღინჯო,
ჭიანჭველა აქლემი.“ და სხვა (ნეტა რა
დაუშავათ ბატ-ინდაურ-გოჭ-აქლემმა? ჩვენ
„ხოლერიან“ მწერლებს?) აი ჩვენი ახალ-
მოდის ლიტერატორების პოეტურ ნაწარ-
მოებების გმირები. ცხელა, თავი გიხურს,
ენა გიშრება — „პატარა ფელეტონის“
დაწერა გინდა, სიცხისაგან ტვინი გათქვე-
ფილი გაქ და არ იცი რა დასწერო. უც-
ხათ ეზოში ხედავ ინდაურს—ოჰ ნეტა-
რებავ! საქმე უკვე გაიჩარხა — „ინდაურის
პატარა ფელეტონი“ მზათ არის! ეხლა
ხომ ინდაური იქნება თუ გოჭი, რომე-
ლიმე პარტიას უნდა ეკუთვნოდეს, —სა-
თაურიც მზათ არის, „პარტიული ინდაუ-
რები“ მორჩა და გათავდა. „ინდაურების
ფელეტონის“ შემდეგ „გოჭის ფელეტონი“,
შემდეგ აქლემის, ბალღინჯოს და სხვა (ბე-
დნიერია თფილისი რაკი ასეთი ლიტერა-
ტორები ყავს) აი ნამდვილი თავის ხოლე-
რა თუ გინდათ ეს არის. ასეთი ხასიათის
იყო „თავის ხოლერა“ ზაფხულის დასა-
წყისში, ხოლო ივლისის ბოლო რიცხვებ-
ში სულ სხვა სახე მიიღო. „პატარა ფე-
ლეტონისტებმა“ „ბატ-ინდაურ-გოჭ-აქ-
ლემს თავი ანებეს და ისეთი სენსაციური
ამბების წერა იწყეს, რომ სიცხისაგან მო-
ქანცული თფილისელები ალაპარაკეს.
„პატარა ფელეტონისტი“ გამიგონია,
მარა ისეთი, როგორიც „თფილ. ფურ-
ცელ“-ს ყოლია „ბერევის!“ „საკვირ-
ველ არიან საქმენი შენნი უფალო! თუ
მიეცი ნიჭი, ყველაფრის ნიჭს ერთ კაცს
მისცემ. იცით თფილისელებო! რა აღმო-
აჩინა „თფილ. ფურც.“ „პატარა ფე-
ლეტონისტ“ ვ. ნ—სკიმ?! უბრალო რა-
მე არ გვეგონოთ? მან აღმოაჩინა (დიდება
შენ სახელს უფალო,) თურმე თფილისში
კორეის ბოგდინანი ცხოვრობს და ჩვენ
კი არაფერი ვიცით! აბა! კორეის ბოგდი-
ნანი! მერე კორეიაში რა ამბები ხდება
ეხლა და ბოგდინანი კი თურმე ავერ ჩვენ
გვერდზე ცხოვრობს და ჩვენ კი არაფე-
რი ვიცით! მერე როგორ აღმოუჩენია
ეს ნ—სკის! (ყოჩად თავის ხოლერავ!)
ერთ მშვენიერ დღეს ნ—სკის „პატარა
ფელეტონის“ დაწერა მოუსურვებია და

ქუჩაში გამოსულა. გზაში ინდაურიც
შეხვედრია, გოჭიც და ბატიც“ (წარმ-
იდგინეთ ვირიც უნახავს) მარა ყურა
ღება არ მიუქცევია. (ალბათ „ბატ-ინდ-
ურები სხვა რომელიმე „ფელეტონისტის
საკუთრებას შეადგენს) უცხათ თავს წა-
დგომია ერთ „გაოფლიანებულ თფილ-
სელს“ და ხელათ კალამი მოუშართა
საწერათ. „გაოფლიანებულ თფილისელ“
შემდეგი უამბნია მისთვის: ერთ დღ-
თურმე „გაოფლიანებული თფილისელი
პირველათ გაოფლიანდა, პირველათ ავ-
და დავითის გორაზე, პირველათ შევი-
ჩიკვიდის ბუფეტში, პირველათ მიუჯ-
სუფრას, პირველათ მოითხოვა „მუკუ-
ნის“ ღვინო, პირველათ „გადაყლუნქ-
და პირველათ გადახდა 1 მ. 50 კ.
ლიდათ ეწყინა გაოფლიანებულ თფილ-
სელს. მან ეს ნ—სკის წინაშე აღვიარ-
ნ—სკი დააფიქრა ამ გარემოებამ. იც-
ქრა, იფიქრა და ოჰ! საკვირველებავ!
აღმოაჩინა — გიგო ჩიკვიდი (ბუფეტის
ტრონი) გიგო ჩიკვიდი არ არის, ის კ-
რეის ბოგდინანიაო. ამ აღმოჩენამ ის-
ტად გაახარა, შემოჰკრა ტაში, შეხტა.
ეს აღმოჩენა „გაოფლიანებულ თფი-
სელს“ გაუზიარა. იმანაც იხარა ამ აღ-
ჩენით, რა კი გაყვლეფა (ალბათ „
კუზანის“ ძვირფასი ღვინო 20 კ. „
ხეთის“ ღვინო თუ ეგონა და იმიტ-
იფიქრა გამყვლიფესო) ისევ უცხოელ
გამყვლიფოსო და გული დაიმშვიდა. „
პატარა ფელეტონისტი“ კი „თფილის-
ფურცელის“-კენ გაექანა და ამცნო თფი-
ლისელებს დავითის გორაზე კორეის
ბოგდინანი ცხოვრობსო! თფილისელებ
დიდათ კმაყოფილნი არიან ასეთი აღმო-
ჩენით, (ბედნიერია თფილისი!) მართლ-
„ბატ-ინდაურებზე“ წერა მაინცა და მისი
არავ-სთვის საინტერესო არაა. „თ-
ფურც.“ ფელეტონისტს საუკეთესო თ-
მები აუღია თავის ფელეტონებისთვის
მხოლოდ საქმე იმაშია, რომ რაკ
ასეთი ძნელი საქმე იკისრა, ბარემ კარ-
გათ უნდა გაუძღვეს და არაფერი არ გ-
მოეპაროს. ავერ ამ რამდენიმე დღის წი-
ნათ ერთი სენსაციური ამბავი მოხდ-
თფილისში და ნ—სკი კი კრინტს ა-
ძრავს. ყოველ წუთში ვათვალიერ-
„თფ. ფურ.“ იქნება „ერთი ვირის“ ან
ბავი იყოს მეთქი, მარა თქვენც არ მო-
მიკვდეთ. მართალია „ვირი“ არავისთვის
საინტერესო არ იყო, მარა ვინ იცი
იქნება „ის ვირი, რომელიც, ამას წინა-
ვორონცოვის ხიდზე ტრამეის ვაგონ ქვე-
მოჰყვა და უვნებლათ გადაჩა, კორეის
ბოგდინანის პირველი მინასტრი ან ჩინ-



ის იმპერატორი იყო?“ აი ეს იყო სა-
პნტერესო თფილისელებსთვის. ნ - სკი
ნი არაფერს ამბობს. (ალბათ უქეიფოთ
აუ არის) „ვირის ამბავს“ რომ თავი
ზავანებოთ საკვირველია ის როგორ გამო-
წარათ ჩვენ „პატარა ფელეტონისტებს“,
რომ ქალაქის საყასბოს ადმინისტრა-
ციას ამას წინათ ერთი ეტლი და
ერთი ექიმი შეუჭამიათ! დიახ შეუჭამიათ

(მართლა არ გვეგონათ თითქო ეტლი შე-
ეჭამოთ. ქალაქის საყასბოზე ქალაქს ერთი
დიდი ეტლი ქონდა, ამ ეტლით დაყავ-
დათ საყასბოს მოსამსახურეები, ადმინის-
ტრაციამ ეტლი გაყიდა და ფულეები შე-
ჭამა. არც ექიმი შეუჭამიათ. ექიმის აღ-
გილი შეჭამეს. „ექიმის ადგილი“ ჯამა-
გირს ღებულობს და ჯამაგირს ადმინის-
ტრაცია ქამს) ბედნიერია თფილისი! რომ

ასეთი ლიტერატორ - ფელეტონისტები
ყავს, მხოლოდ უბედურება ის არის რომ
თავის ხოლერა ხელს უშლის ყველა ფაქ-
ტებს მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება.
თფილისი ბედნიერია, მარა არც ქუთაისი
ჩამორჩება მას. ამის შესახებ კი შემდეგ.
ირეთელი.



— წადით სახლში! საჭირო არაა ქუჩების დაგვა! ხომ ხედავთ როგორ კარგათ გვის ქარი?

პარტიათა შორის.

„ჩაფისტო-კოკისტა“ პარტია. ამ უკან-
ნასკნელ ხანებში ს. ღვიმეში (შორაპნის
მაზრა) შემდგარა ახალი პარტია, ეგრეთ
წოდებული „ჩაფისტო-კოკისტა“. პარ-
ტიის დამაარსებელია სტეფანე რუსია.
პარტიის პროგრამა შესდგება ორი მუხ-
ლისაგან: 1) ყველა ჩაფების დამტყვევ
წყაროს პირათ, როცა წყლის წასადებათ
მივლენ. 2) უკეთუ კიდევ წყლის ზიდვას
არ დაანებოს თავი, ჩაფები თავზე გადა-
ემტვრეს წყლის წამლებს. პარტიის მთავა-
რი შტაბი წყაროს პირათ იმყოფება. პარ-
ტიის კრებები ხშირათ იმართება. უმეტე-
სათ შაბათობით, როცა სტეფანე ჩამობ-
ძანდება თავის ლურჯა ცხენით. სხვა და
სხვა კითხვებს გარდა ამ ღღეს სდგება
სამხედრო ველური სასამართლო და სიკ-
ვდილით დასასჯელ კოკების მტყვევ-

მსხვრევას საზღვარი არ აქვს. პარტიაში
ქალებიც ეწერებიან. არჩევნების შესახებ
ჯერ არაფერი გადაუწყვეტიათ.
მეჩხერული მუშა.

სიზმრის ახსნა.

(0000—გვერდის ნაგლეჯი.)

— ექიმი პ. ჩხიკვიშვილი ნახო მოსამ-
სახურებოქს ლანძღავდეს და სცემდეს, ცუ-
დია. მეორე ღღეს ნუ მიხვალთ მასთან
რჩევა დარიგებისათვის, თორემ ვაი თქვე-
ნი ბრალი.

— თუ იგივე ექიმი შეზარხოშებული
ნახოთ ან და ნადირობის, ძაღლების, დე-
რეენის და თავის ვაჟკაცობის შესახებ ლა-
პარაკობდეს—კარგია. დაუყონებლივ ეს-
ტუმრეთ მას და დიდ პატივს მიიღებთ.

— ხონის თეატრალური კომისიის საქმი-

ანობა ნახოთ - ტყუილია; ასეთი სიზმარი
არასოდეს არ ახდება..

— სოფლის მასწავლებელნი თეატრში
ნახოთ—ტყუილია, არ დაიჯეროთ.

— ხონის ქუჩები უსუფთაოთ ნახოთ და
სანიტარული კომისია კი „ცხრამეტში შავ
თავს“ ეძებდეს—კეთილად ახდეს.

— ხონელი ვაჭრუკანები ნახოთ შეწუ-
ხებულნი ილია ბახტაძის დატუსაღების
გამო—ტყუილია, არ დაიჯეროთ.

— ანდრია ბახტაძე ნახოთ—გაპატიო-
სნებულთყოს და მისთვის მასწავლებელთ
ბოიკოტი მოეხსნას—ტყუილია, არასოდეს
არ ახდება...

(ბოლო აკლია)

ხაზინთა შორის*)

ბათუმელ ხაზინების მოთხოვნები. ნური-ის ბაზარზე მოვაჭრე ხაზინებს ერთ თავის კრებაზე შემდეგი მოთხოვნები შეუშუშავენია: 1) ხაზინს უფლება აქვს, ყოველად ზრდილობიანათ აგინოს ნოქარს: დედა, მამა, ძმა, ბიძა, ბიძაშვილი და სხვა. 2) დათხოვნილ ნოქარს გამოერიცხოს ექვსი თვის ჯამაგირი ხაზინის სასარგებლოთ, უკეთუ ნოქარი თავს დაანებებს სამსახურს აუტანელ პირობების გამო (ეს მუხლი ჯერ ჯერობით სისრულეში მოიყვანეს ალექსი ხოშტარიამ და რაჟდენა „კალბასნიკა“) 3, სამუშაო დღე 17 საათი—ვაჭრობა უნდა იწყებოდეს დილის 4 საათზე და თავდებოდეს ღამის 11-ზე, დანარჩენი დრო ნოქარმა უნდა მოახმაროს ხაზინის ოჯახში სამსახურს (როგორც მაგალითათ თეფშების დარეცხა, წაღების გაწმენდა, სამოვრის აღდგენა და სხვა) ძილისთვის ეძლევა ერთი საათი. 4) საქმელათ ნოქარს ეძლევა დღეში სამი ჰიქა ჩაი ერთ ნახევარ ბუბლიკით და ერთი კვინწი შაქრით. ჰამის დროს დაჯდომა სასტიკათ აღკრძალულია. 5) ნოქარს უფლება აქვს, წყალი რამდენიც უნდა, იმდენი „ყლუნჭოს“, სანამ „უპრავა“ ფასს დაადებდეს და ფასის დადების შემდეგ კი სამი ჰიქა დღეში. 6) ნოქარს მიღება და დათხოვნა მთელ ბათუმში ნურიის ბაზრის ხაზინების საქმეა. 7) ვინც ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებს დაარღვევს, სასტიკათ დაისჯება.

ბათუმის ნოქართა უპარტიო პროფესიონალურ კავშირის ბიუროს მოუწონებია ხაზინების ეს დადგენილება და „იჩიეკებში“ გალაქტეს დასამტკიცებლათ. იქედია კავშირის წევრები საესებით მიიღებენ ამ მოთხოვნებს.

მეთ. დაკუთნა.

„დანგრეული ყორე“

ნ. ველკოვისა.

გრავინვის და მების მესაიდუმლე ზღვის პირათ ჩანდა კლდე მიუვალი,— ნაპირს იცავდა ზღვის დელვისაგან შეუპოვარი ჰირისუფალი.

დასაბამიდან მიუვალ ბებერს მხოლოდ-და ტალღა ახირებოდა, თითქოს მხოლოთ მას უყვარდა იგი და სიყვარულით ვერ სცილდებოდა!

1) განყოფილება „ხაზინთა შორის“ დღიდან მუდამ იქნება ჩვენ გაზეთში და ვსთხოვთ ყველას, რაც შეიძლება მეტი ცნობები მოგვაწოდონ.

რედაქცია.

მაგრამ მას, პირქუშს და რისხვიანსა, შავი ღრუბელი თავს დაბურვოდა... შავ-ბნელ ფიქრებში წასულ ბებერსა, ომი უნდოდა, ბრძოლა სწყუროდა!

თვით ტალღის ალერსს ისე ისმენდა, ვით გამოსაწვევ ბრძოლის დაძახილს, და ილესავდა წვეტიან ქვებსა, ბრძოლისთვის სანდო, უებარ მახვილს!

დრო გადიოდა. ამაყმა გმირმა ველარ გაუძლო მეხთან ბრძოლასა და ძველი ფიქრი, გიჟური აზრი თან გაატანა ქარის ქროლასა.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღესა ყური წაუგდო — ტალღა ქოქოთებს: ყორვე, აიხსენ ბრძოლის აბჯარი და მოგვიყევი გულში რა გიდევის...

ქარზე ნუ ფიქრობ, ხედავ—მიყვარხარ... და საუკუნოთ, სულ მეყვარები... არ არის გრძობა ამაზე მძღავრი... გადამიშალე შავი ფიქრები“...

უფრო და უფრო გული ენოოდა ბრაზით დაჩრდილულ ცელქსა ტალღასა, მაგრამ ალერსით ფიქრობდა შველას, ველარ ხედავდა ხსნისთვის სხვა გზასა.

ოჰ, ცივი ყორე თვალწარმტაც ტალღის მომჯადოებელს ხვევნა-ალერსსა ვით გაუძლებდა გაზაფხულის პირს, ბრწყინვალე ცის ქვეშ, ბრწყინვალე დღესა!

შეინძრა ყორე... სასტიკი გული ცეცხლსა გაელბო სიყვარულისას, ქვები დაყარა, გული გაშალა, რომ შეებოქა მტარვალურ რისხვას...

შორით ქედნები ტყვილა ეძახდენ: „გაფრთხილდი, ყორვე! ნუ გიპყრობს სევდა, ტალღა თვალთმაქცობს, იმას სჩვევია“...

მაგრამ ყორე მათ ყურს არ უგდებდა: ველარ მიუხვდა ტალღის ალერსსა, აუსრულდებელს აზრებს მოსცილდა .. ტალღა დაქროდა და ცივსა ჯალათს გულს ულოკავდა, მკერდს უკოცნიდა!

მაგრამ—აი, დღის ჩაქრა მნათობი და ნამძინარვე დედამიწაზე რისხვით დაქროლა მრისხანე ქარმა,— კვნესა გაისმა ბობოქარ ზღვაზე.

ის ყორე იყო!.. დაინგრა იგი, ნაფოტათ იქცა მის საფეხური, და ზღვის უფსკრულში მოექცა სრულად ნანგრევი შავი, ჯოჯოხეთური!

ტალღა ხედავდა—ფეხქვეშ გართხმოდა ჯალათი ცივი და მიუვალი — კვლავ სრიალებდა გამარჯვებული, ბრწყინვალე, მარდი, თავისუფალი!

იასამანი.

წ რ ი ვ ი ნ ც ი ა.

ოზურგეთი. არ იქნა და არა, ვერ მოისვენა ჩვენმა ბედკრულმა ოზურგეთმა დღე არ გაივლის ისე, რამე უბედურება არ დატრიალდეს. მარა უბედურებაც არის და უბედურებაც. ისეთი თავზარდამცემი ამბავი, როგორც 22 ივლისის დატრიალდა, ოზურგეთს ჯერ არ უნახავს; მონაგონი არ არის ცეცხლის წაქიდება, ძარცვა-გლეჯა, ხოცვა-ჟლეტა და სხვა. ასე, იქნებოდა დღის პირველი საათი, რომ ბოქაულ კვაშალს, როცა ის ოცნებით გატაცებული ტახტზე იყო გაშლართული და ტკბილათ სთვლემდა, თავზე დარბაზის ქერი ჩამოენგრა და... და... საბრალო ბოქაული კინალამ ცოცხლათ დაიმარხა. საბედნიეროთ ბოქაულს ორივე თვალი, ცხვირი, თავი და კბილები გაუფუჭდა. ეხლა საავათმყოფოში წევს. მორჩენის იმედი აქვთ.

— ვაქარ დიომიდე ვასაძეს ერთგული სამსახურისთვის ჯვარ-მენდალი მოუვიდა. — ამას წინათ სილოვან ორაგველიძეს დაქარგული ასი მანათი შავი ზღვის პირათ უნახავთ.

პეტრე.

სტეფან წმანდა. ჩვენ სოფელს რომ ეს დღე ბედნიერი მამასახლისი არ გასჩენოდა, მისი სისაწყლე სოფელი არ იქნებოდა დედამიწის ზურგზე. თავისუფლების დღეებშიაც მომენტის შესაფერათ იქცეოდა და ახლაც, ამ მოწყენილობის დროსაც, გაგვამხიარულებს ხოლმე მშვენიერი სიმღერით

„თქვენ ყველას გაგვეგონებათ, რომ აღმართსა ხნავს ძალია; სტეფან-წმინდისა სოფელი დავამხვე ყირამალაო. ზოგ სახლში დანა ვიპოვე; ზოგან კი ხანჯლის პირიო, თან ვაგრძობინე მასპინძელს რომ კარზე ედგა ჰირიო. ეს კმარა, მეტი არ უნდა მიხვდებოდა რაცა მსურსაო; არ დაიზარებს, რაზომსაც შეიძლებს სამსახურსაო. აგერ, ერთს ერბო ქილითა შემოაქვს საჩუქარიო, ერთს მოჰყავს ჩვილი ბატკანი, ერთს ცხვარი ნასუქარიო. ზოგს რამდენიმე ქათამი გადაუჯაჭვავს ფეხითო, ზოგს ყველი მოაქვს გობითა, ზოგს კალათები ძეხვითო; საქართველოში ჩემგვარი „ტარშინა“ არსად არიო, აბრამა მქვია სახელათ, ჩოფიკაშვილი გვარიო.

ტურა.

ფოთი. დღეს ცნობა მივიღეთ რომ ბ. ესაკიას ლაზის ტანში წაუკითხავს ლექცია შემდეგი სათაურით: „როგორ აიღეს ფოთში ფედერალისტებმა „სევერნოე ობზერვაცია“ ლექციას ხალხი ბლომათ დასწრება და ლექტორი ხანგრძლივი ტანის ცემით დაუჯილდოვებიათ. ვახშამიც გაუმართავთ. სტუმრის პატივსაცემი ქართული მრავალ—ჟამიერიც უმღერიათ. ვახშამზე ქართველების პატივსაცემლათ ქართულ ენაზე სიტყვა წარმოუთქვამს ს. ხინკაძეს. ეს ის ხინკაძეა რომელსაც რამდენიმე წლის უკან ზაქრია ჭიჭინაძე ატარებდა. კუჭუნია.



უჰ! უჰ! რა ტკბილია!

იქიდანვე დღეს კვირა დილით პარიჟიდან ფოთში ჩამოვიდა ახალ გაზრდა მეცნიერი მიშა საბახტარიშვილი. რომ თავისი ჩამოსვლა რითმე აღენიშნა მან ახალ მოდის გეროსტრატობა იკისრა. მისმა ძმამ იყიდა „ჩვენი სიტყვა“ „ისარი“ „რიჟრაჟი“ და „ЗАКВ.“ მეცნიერი მივიდა და ეკითხება: „ბიჭო რა გიყიდა ესო“? გამოგლიჯა ხელიდგან „ჩვენი სიტყვა“ და იქვე ნაკუწ-ნაკუწათ დაფლითა. „ამას კაცი წაიკითხავსო“ და ფეხით მოსრისა. ამბობენ თურმე პარიჟის უნივერსიტეტში მებუთე ფაკულტეტზე სწავლობენ გახეთქების ხევის. მოგვილოცავს პრესისთვის ახალმოდის ფილოსოფოსი. კუჭუნია.

ქუჩაში სროლა რომ ატყდეს დროზე ვერც გაიქცევიო. ტეტია გლეხის ურემი სულაც არ გერიდებო, ფურგონი გვერდებს შეგაფხანს დროგი წინ დაგიდგებო. ცხენები ცხენებს არ გივავს შიმშილით სული ხვდეს, თუნდ მუგუზალი დაარცა მინცარ გაქენდებო. ფანრები ქონის ჭრაქისა არავის ენათებო, რაც დღე გამოდის სულ ხდები, ნეტა რა გემართებო!!!“

(ავჭალის კონკა არ არის არც ასე დასაწუნები, და რა თქმა უნდა, ეწყინა ტრამვაის ნაბრახუნები).

ჰკადრა: „თუმცა შენი შევენება კაცს თვალებს დაუამებსო, მაგრამ ხშირი გაქვს მყრალი გზა ვფიცავ ქალაქის მამებსო! აბა რასა გავს გინდ რიყე, გინდ ორთაქალის მხარეო, იქ სამსახური მეც მასსოვს შავი დღე გავატარეო. ყოველ ნაბიჯზე ნაგავი, პირუტყვით და მეტყველთ ჯარისო

გახვალ თუ არა ცოცხალი ესეც საეჭვო არისო. სიმყრალის არამატები იქ მოგონილი არიო; კორიანტელი ადგება თუ კი გაინძრა ქარიო. არც ფეხმძიმე ხარ, ძმობილო! ცეცხლს აფრქვევ ბორბლებიდანო, შენ სანახავათ გლეხები მოდიან სოფლებიდანო. არც გინდა ცხენი, არც ვირი...

მარტოკა, ტიტვლათ დახვალო, თუ რვა ძალაზე მოგმართეს შევარდენივით წახვალო. მინახავს შენი ვატმანი წელში მოხრილი რკალათო, ნიაფ-ქარივით მიგაფრენს არა-რა უჩანს თვალათო. აქ ეტლებს გაიბურთავენს მოაქცევს ნაკარ მტვერათო, დაბალი „ეკიპაჟები“ არ უჩანს არაფერათო. ურემი თქმათაც არა ღირს დროგი სულ არაფერიო, მერძევე ქალთა ტაქკები დაგიმსხვრევია ბევრიო.

და აბა მითხარ შენს ნაშრომს სად შეედრება ჩემიო, ღეთის მადლით, ძალა დიდი გაქვს განგების მონაცემიო“.

(თუმცა აქ დიდი რამ არ თქმულა, მაგრამ ტრამვაი დაღონდა! ალბათ მეტს გამოელოდა და სასაცილო რა ჰქონდა.

ავჭალის კონკამ შეატყო მას ესე დაღრეჯილობა და არ დაზოგა თავისი დიდი ხნის გამოცდილობა). განაგრძო: „ეს ხომ გიოხარო, ახლა სხვას უგდე ყურიო; მთელმა ქალაქმა გაიცნო ეგ შენი სამსახურიო. მითხარი: თითოს სამ-სამი ხომ გეყოლებათ მკვდარიო, ათი ხუთმეტო კიდევ სხვა ხელ-ფეხებ წანაჭარიო. ბავშვების ცოდვა კმაროდა, მოხუცთა კიდევ მეტო, რა გიჭირს ღინჯათ იარო არ იყო ვერე ცეტიო“.

(აქ განგვირისხდა ტრამვაი თავზე ცეცხლს მოიკიდებდა და მოკამათეს შეახებს არა საკადრის სიტყვებსა).

„შე მაჩანჩალა გლახაკო! შე ვირის სათრეველოა

„კონკა“ და „ტრამვაი“.

„თავი შაურცხვეს შენს დამდგმელს! შენ გამკეთებელ მამგონსო!“ (ავჭალის კონკამ გასძახა მიხაილოვის ვაგონსო.) „რა გახრაგუნებს, ძმობილო! ვის რას უკეთებ ამდონსო: ვაგზლიდან ვორონცოვამდი ერთნაირს ვიღებთ პრაგონსო“.

ტრამვაიმ შემოუტია: „ჰაი შე მაჩანჩალაო! შენ მკვდარი ცხენი დავათრევს, მე ელექტრონის ძალაო. მართლაც რომ ეხრაგუნები, კაცი ზედ არა გჯდებო, ცხენმა თუ ფეხი წაიკრა ერთ დღეს ვერ წამოდგებო. მოგიგდეს ქუჩა ბინძური სიმყრალით მოწამლულიო, უჩვევი მგზავრი თუ შეგზვდა წაუწუხდება გულიო.

ბ. ნიაღვარი მიგათრევს, ხ. შენით წაიქცევიო;

რაც აქ სიბრძნე დახარჯე
 უკან წაიღე ყველაო.“
 ამაზე კონკრეტულად შეახო,
 ტრამვაი კვალათ ყვიროდა...
 მარი მნახველი ურემი
 ცხარე ცრემლებით ტიროდა.

ეშმაკი.

დ ე ზ ე შ ე ბ ი.

კ ა ვ კ ა ს ი ა.

ბათუმი. ქალაქისთვის სულ ერთია: მამაშვილურათ მოაწყობ საქმეს მაინც არაფერი კეთდება; ოპოზიციას გამართავ და მაინც არაფერი კეთდება. ქალაქისათვის სულ ერთია, ხოლო გამგეობის მოსამსახურეთათვის ყოველ შემთხვევაში მამაშვილური მართვა-გამგეობა სჯობია.

ლიხაური. საზოგადოებამ დაჰკარგა დაუფასებელი მამასახლისი მიხაილ ვასაძე. ჩვენთვის დაუფასებელი იყო, მაგრამ ოზურგეთის ადმინისტრაცია არ დასტოვებს დაუფასებელს არც მის გაცივებულ გვამს და ვაი სოფლის ბრაღი, თუ ღირსეულათ შეაფასა.

აბაშა. კოწია ცომაიას მართლაც რომ გადაუწყვეტია დეპუტატობაზე ქვები იყაროს (კენჭი პატარააო, ამბობს). ის ერთსა და იმავე დროს ორ საარჩევნო კურიაში იდგამს გოდორს და თუ სტრატის ურიადნიკთა კურიაში გაშავდა, რაიცა ადვილი მოსალოდნელია, ყოფილი მკვიდრითა კურიაში უეჭველათ გააა.

თელავი. მკვლელობა და თავზე დასხმა ძლიერ გაგვიხშირდა მოკვლის ნებას იძლევიან, მაგრამ დამარხვას სასტიკათ გვიკრძალავს ადგილობრივი ადმინისტრაცია.

სიღნაღი. ერთი მემამულის ნათესს 27 კალია დაეცა. მსწრაფლ სტრატეგები გაიწვიეს. 23 კალია დაიჭირეს და ასახლებენ. დანარჩენებმა თავს უშველეს. გამოძიება სწარმოებს.

ჭუთაისი. ფრიად ამაღლელებელი ამბავი მოხდა ჩვენს ქალაქში. ქუთათური კატები ცხარე ცრემლსა ღვრიან უდროოთ დაკარგულ და ტრალიკულათ მოკლულ მოძმეთათვის. საქმე უბრალოთ მოხდა. სამხედრო რაზმს ფოსტა მიჰქონდა. უეცრათ, ერთი სახლის სახურავზე ხრაგუნის შეიქნა და არც ისე მცირე ხრაგუნის და მცველი რაზმი „ექსპოპრიატორათ“ მოლოდინში საბრძოლველათ გაემზადა და ვინაიდან ხრაგუნის არ შემცირდა, ასტეხა გაძლიერებული სროლა. სახლის მცხოვრებნი შიშმა აიტანა, მაგრამ რადგან

„ექსპოპრიატორები“ სახურავზე იყვნენ ტყვიათა მსვლელობაც იქით მიიმართა. ამის გამო სახლში არავინ დაზიანებულა. სროლა შეწყდა, გამოძიება დაიწყო; სახლის სახურავი ტყვიით დაცხრილული აღმოჩნდა. სახურავზე იპოვეს აგრეთვე რამოდენიმე, ტყვიით გაგმირული გვამი კატებისა. ეს თურმე ის ჯაგუფი ყოფილა, რომლებიც „ექსპოპრიაციებს“ ახდენდნენ ქუთაისში და იმედია ამის შემდეგ მაინც მოისვენებს ჩვენი ქალაქი. დახოცილებს თან არავითარი იარაღი არ აღმოაჩნდათ.

სოფ. სარმაი. ჩვენი სოფელი ძლიერ შეგნებული სოფელია. მიუხედავად ამისა ძლიერ გაგვიხშირდა სიკვდილი როგორც ბოლო დროს გამოირკვა, მიზეზი აი რა ყოფილა: ჩვენ მღვდელს თურმე **ოლარი გადმოუბრუნები** და **ვაურეცხია** ეს ხალხმა გვიან შეიტყო და ბევრს ნაღვლობს ავთამყაფებისათვის დანახარჯ წამალს. ვილაც-ვილაცები ამბობენ: „ეს ცრუ მორწმუნეობაა, ოლარის გარეცხა კაცს არ მოკლავსო“, მაგრამ ჩვენი სოფელი ახლა საკმაოთ შეგნებულია, რომ ასეთმა ლაპარაკმა შეცთომაში შეიყვანოს.

ბათუმი. ქალაქის გამგეობა ამ ბოლო დროს დიდ ყურადღებას აქცევს უმუშევართა მდგომარეობას. გადაუწყვეტია უპრავას აგრეთვე სამაგალითო და უფასო სასაღილოს მოწყობა; ამ მიზნით გამოუწერია ამერიკიდან 10761 ახალი კიტრი და 11999 ფუთი პომიდორი.

ბათუმი. ბათუმის ნოქართა კავშირის ბიუროს გადაუწყვეტია; 1) არ მიიღოს მონაწილეობა მომავალ სიეზდზე, რადგან უსიეზდოთაც ყოჩაღათ არიან, 2) თავი დაანებონ მასის იდეურათ ხელმძღვანელობას და 3) რაც შეიძლება ეცადონ მეტი ფულები მოაგროვონ. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანათ უკვე მიიღეს ზომები.

ბაქო. ხოლერა მობრძანდა და აქ დარჩენას აპირებდა, მაგრამ გაიგო, რომ თფილისის სანიტარებს მაგრათ სძინავთო და ამ დღეებში განიხრახნა თფილისისკენ გამოეშუროს.

ბათუმი. ქალაქის თავმა უკვე ვაიყვანა თავის კაბინეტში წყალი და ყოველ დღე იბანს თავს.

რუსეთი.

პეტერბურგი. ტავრიდის სასახლეს ძლიერ ამაგრებენ, რომ ქერი აღარ ჩამოინგრეს. პარტიული კრებები გახშირდა. ვოსტორგოვი და ილიოდორე საკუთარ ორგანოს იარსებენ. ომის გამოცხადებამდე იპონიასთან კავშირი გამოცხადდა; უნივერსიტეტები და კურსები დაიხურება; მათ

ალაგას სამრევლო სკოლებს გახსნიან. არჩევნებში გამარჯვების იმედი არცერთ პარტიას არა აქვს; ალბათ ისევე პოლიცია გაიმარჯვებს.

მოსკოვი. სოც. დემოკრატებმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. გამოირკვა, რომ მათ არავითარი არჩევნების უფლება არა ჰქონიათ. გუბერნატორი პეტერბურგს წავიდა მუშათა უფლებების აღსადგენათ.

ლოძი. პარტიულ ნიადაგზე ერთი მუშა მოკლეს.

მოსკოვი. მონარქისტებმა, „ქეშმარიტ რუსებმა“ მემარჯვენებმა და „ჩვენთანა არს ღმერთი“-ს პარტიათა კონგრესმა დაადგინა: საარჩევნო ბლოკი შექმნან იმ ადგილებში სადა მოსალოდნელია „წითელი საფრთხე“ ანუ ოქტომბრისტების გამარჯვება; სხვაგან თთვიული პარტია ცალკე გამოვა.

კიევი. ირწმუნებიან ადგილობრივმა კანისტორიამ დაადგინა: თითოეული მსხვერპლი კრამოლისა წმინდანთა ჯგუფში ჩაირიცხოსო. ეს საკითხი მესამე დუმას წარედგინება, სადაც მომხსენებელი იქნება ჩვენში კარგათ ცნობილი დეკანოზი ვოსტორგოვი.

უცხოეთი.

პარიში. კახაბლანკაში საფრანგეთის რაზმმა სასტიკათ შემუსრა ადგილობრივი მცხოვრებნი. რაზმის სულიერი განწყობილება საუცხოვოა. მოსალოდნელია შეტაკება ესპანელთა რაზმთან, რომელიც ჩვენთან ერთად იბრძვის.

ბერლინი. ვილჰელმმა ძმურათ გადაპკოცნა ინგლისის იმპერატორი ედვარდი. მსოფლიო საქმეებზე ბაასის დროს, ორივე მირონ ცხებულნი მშვენიერათ გრძობდნენ თავს. მაროკოს აჯანყება, ბელფასტის არეულობა, სპარსეთ-ოსმალეთის შეტაკება, ამერიკის ტელეგრაფისტთა გაფიცვა, კორეის იმპერატორის დაკარგვა; ყველა ეს ისეთი მეორე ხარისხოვანი ამბებია, რომ მსოფლიო მშვიდობიანობას ვერ შეარყევენ.

ნიუ-იორკი. ტელეგრაფისტთა გაფიცვა საოცარი სისწრაფით მოედო მთელს შეერთებულ შტატებს. პრეზიდენტმა რუზველტმა, როგორც ამბობენ, მოსკოვიდან შვიდი სული აღმირალი დუბასოვი გაიწერა, გაფიცვის ჩასაქრობათ, მაგრამ აცნობეს, რომ დუბასოვი ერთია და ამ ჟამათ აღნიშნული მიზნისათვის აღარც ის ერთი გამოდგებაო.



ვაკვირდები და ვერ გამიგია რა იქნა აქ რომ ყვავილები იყო?

უცხო სიტყვების ახსნა.

(იხილე „შუამავალი“ № 3)

- კაკანდა**—ჩინოვნიკთა პარტიული ნიშანი.
- კლატე**—ტუჩებზე ჩამოაკიდი მანქანა, რომ თავისუფალი სიტყვა არ წამოსცდეს არავის.
- კლანჭი**—პოლიტიკური ხაფანგი.
- კოკაბზიკა**—თანამედროვე „ბარიშნები“;
- კოკა**—ქართველ „კეთილშობილთა“ ღვინის სასმელი სტაქანი.
- კონდაკი**—ხუცებისთვის ფრიად საჭიროო წიგნი საკურთხების, საწირავის და სხვათა და სხვათა გასაწესრიგებლათ.
- კონდახი**—რუსეთის მოქალაქის ზურგზე მოსაფხანი იარაღი.
- კოდა**—თავდა-აზნაურთათვის ფრიად საჭირო იარაღი გლეხების დასაწყავათ.
- კონკა**—ვატმანის ცხენი.
- კონკი**—გლეხთა სიმდიდრე.
- კონანტელი**—ქუთაისის ქუჩები.
- კონსტანტინოვლი**—ფელაშუში, რომლის შესაქმელათ ევროპის ყველა სახელმწიფოებს კოვზები მზათა აქვთ და ლამის ერთმანეთი დაჭამონ.
- კოცონი**—რუსეთის სახელმწიფო ხაზინის სიმდიდრე.
- კოკეჭა**—ბოქაულის, გოროდოვოს, მწერლის, გადამწერლის, მამასახლისის, მისი „პოპოშნიკის“, ჩაფრის, ხუცის, დიაკვნის და სხვათა და სხვათა მაკრატელი.
- კოხი**—რუსეთის ბიუროკრატია.
- კო**—განმათავისუფლებელი მოძრაობა

- კუბო**—შანტაჟისტთა ერთათ-ერთი იარაღი ფულის საშოვნათ.
- კუდა**—17 ოქტომბრის მანიფესტი.
- კუტანი**—ადამიანთა კეხი.
- კუჭი**—ყველას სათაყვანებელი მანქანა.
- ლაფობა**—„პატარა ფელეტონების“ წერა „პარტიულ ინდაურების“ და სხვათა შესახებ.
- ლანძვა** ჩვენებურ ანარქისტთა აგიტაცია.
- ლაქუდა**—ბიუროკრატული ხრიკი.
- ლაგამი**—თანამედროვე ხაზინების თავის შესამაგრებელი იარაღი.
- ლაგაში**—ლოყის გასაზომი მანქანა.
- ლაგრა**—ბერ-მონაზონთა საბუღარი.
- ლაშანაკი**—აღკრძალული ხილი.
- „ლაშანა“**—ჯვარცმული გაზეთი.
- ლაფი**—ქუთაისის ქუჩების ქვაფენილი.
- ლაყი**—ზოგიერთ მწერლების თავი.
- ლაწინაკი**—„პარტიული ლაწირაკები“.
- ლათინა**—მსოფლიო ცხოვრების მთავარი ძარღვი.
- ლაკლაკი**—ბროშურების წერა.
- ლატანა** პატრიოტული სეირნობა.
- ლხინა**—სამშობლოსთვის თავის დადება.
- ლაჩანა**—თანამედროვე გმირი მებრძოლი.
- მათანხა**—პოლიტიკურათ გასაწვრთნელი იარაღი.
- მაგება**—ბურჟუა-კაპიტალისტთა თვალთახედვის ისარი.
- მელქისედეკ**—ქრისტიანთა გაქრისტიანება.
- მამაღი**—მამალი, ინდაური, იხვი, ბა-

ტი, გოკი და სხვა—პატარა ფელეტონებისთვის საწერი მასალა.
მაძული—ქართველ თავად აზნაურთა საქიფო მასალა.
მონაზონა—სახელმწიფო არაყი.
მანხვა—ლარიბების სადილ-ვახშამი.
მანიფესტი—პოლიტიკური იხვი.
ირეთელი.
 (შემდეგი იქნება)

„შუამავლის“ ფოსტა

პატარა ცეშვი, შ რ ო შ ა ნ ს. მიუხედავთ იმისა, რომ თქვენ, თქვენივე აზრით, ძლიერ ჭკვიანი უნდა იყოთ, ლექსს მაინც უშინაარსოს იწერებთ და არ ვიცით, რით ავხსნათ ეს მოვლენა. ყოველ შემთხვევაში თქვენ ძლიერ ახირებულიათ გსმენიათ თქვენი, (როგორც კორესპოდენტის) და „შუამავლის“ (როგორც გაზეთის) დანიშნულება.
ფოტოში, კ ა კ ა რ დ ი ა ნ ს. თქვენი წერილი, გარდა იმისა, რომ გრძელზე უკრძესია, სამწუხაროთ, უშინაარსოც არის. მართალია თქვენ მოგწონთ, მაგრამ ნუ გეწყინებათ თუ ჩვენც ვერ მოვიწონებთ. უმჯობესი იქნება უფრო მოკლეს და შინაარსიანს მოგაწვდიდეთ რამეს. ნუთუ ფოტის ცხოვრება თქვენ წერილსავე უშინაარსოა?
ჟიკილაში. ჩ ო ნ გ უ რ ს. მოწყალეო ხელმწიფე! რედაქციისათვის მარტო ის კი არ კმარა, თქვენ რომ რალაცა ქარაგმები გამოაგზავნათ. თავისთავათ ცხადია და გვიკვირს თქვენ რატომ ვერ გაიგეთ, საჭირო იქნება ამბის ვითარება მოკლეთ მაინც ვაცნობოთ რედაქციასო. ის ვილაცა მღვდელი თუ დეკანოზია, იქნებ ტყვილათ უდანაშაულოთ გაგვლანძღვიეთ. ქრთამს დამტკიცება უნდა. შემდეგისათვის მაინც გამოიყენეთ ეს დარიგება.
ხაზურში, კ ა ტ ო ს. თქვენი წერილი თუმცა არ არის ღერეს მოკლებული, მაგრამ ხომ მისი სიტყვები „სხვა და სხვა მიზეზები“. შეიძლება თქვენი თავისი საკუთარი საქმე აქვს და მუდამ უფრო ბოქაულთან იმისთვის აგდია. თქვენი მოსაზრება: „ქვიშეთში უდანაშაულო ხალხს იჭერს, და შემდეგ ფულით ანთავისუფლებსო“, დამტკიცებას მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში გაბედულობა იმითაც ეტყობა აღნიშნულ ნემსაძეს, რომ ამ გასაჭირ დროს მოუთრავათ დამდგარა სუბმთავთან.
ბორი, კ ი ტ რ ს. თქვენ ჯერ ის იკითხეთ იბეჭდება თქვენი ლექსი თუ არა და მკრმე გონორარი მოითხოვეთ. გონორარს რედაქცია იძლევა ისეთ ნაწარმოებში, რომელსაც მოიწონებს და არა ისეთში, რომელსაც დაიწუნებს. თქვენი ლექსი არ იბეჭდება, რადგან შინაარსით სუსტია და ლექსთა წყობა ხომ...

ა გ ე ნ ტ ე ბ ს.

რედაქცია სთხოვს აგენტებს, რომ დააჩქარონ გაყიდულ ნომრების ფასის გამოგზავნა. აგრეთვე საჭიროა 1—2—3 ნომრების ავგაროში ცალკე გამოიგზავნოს და რბც შეიძლება მალე, რომ ამ მე-4 ნომრის ანგარიშში არ აირიოს.

ადრანსი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Трудъ“ для Шуамавали.